

ბიბლიოთეკებთან დაკავშირებული პრინციპები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო განვითარების გეგმისათვის

2005 წლის იანვარი

ქართული თარგმანი ლ. ნანუაშვილის (საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია)

მიზანი 1: ჯანსაღი და მზარდი საზოგადოებრივი საინფორმაციო სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ახალ შესაძლებლობებს შემოქმედებითი, კვლევითი და საგანმანათლებლო მუშაობისათვის.

- 1.1. სამთავრობო ორგანოების მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი განთავსებული უნდა იყოს საჯარო (ყველასათვის ხელმისაწვდომ) მედია-საშუალებებში.
- 1.2. მთავრობის მიერ დაფინანსებული კვლევების შედეგად გამოქვეყნებული შრომები ყველასათვის უფასოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარკვეული დროის განმავლობაში.
- 1.3. ფაქტები და საზოგადოებრივი გამოყენების სხვა მასალები, აგრეთვე არაშემოქმედებითი ხასიათის ნამუშევრები არ უნდა ექვემდებარებოდეს საავტორო უფლებიდან გამომდინარე, ან საავტორო უფლების მსგავს სხვა შეზღუდვას.
- 1.4. ბერნის კონვენციის შესაბამისად, საავტორო უფლების ვადა უნდა განისაზღვროს ავტორის სიცოცხლის წლებს დამატებული 50 წელი. საავტორო უფლების ვადა არ უნდა გაგრძელდეს რეტროაქტიულად.

მიზანი 2: მაღალი ხარისხის საბიბლიოთეკო პროგრამები და სერვისები, როგორც ცოდნის გაღრმავების საშუალებები.

- 2.1. ბიბლიოთეკას უფლება აქვს, გადაიღოს გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ნამუშევრების ასლები მათი შენახვის (დაცვის) ან სხვა ფორმატში გადატანის მიზნით.
- 2.2. ნამუშევარი, რომელიც ბიბლიოთეკის მიერ კანონიერად არის შეძენილი, შეიძლება გაცემულ იქნეს სხვა პირებზე ბიბლიოთეკის მიერ დამატებითი გადასახადის გადახდის გარეშე.
- 2.3. ნამუშევარი, რომელიც კანონიერად არის შეძენილი ბიბლიოთეკის ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს მომხმარებლებისათვის ქსელის საშუალებით საკლასო სწავლების ან დისტანციური სწავლების მიზნით იმ პირობით, რომ არ დაირღვეს საავტორო უფლების მფლობელის უფლებები.
- 2.4. შესაბამისი ზღვრების დაცვით, ბიბლიოთეკას ან სასწავლო დაწესებულებას უფლება აქვს, გადაიღოს ნამუშევრის ასლები საკლასო სწავლების მიზნით.
- 2.5. ბიბლიოთეკას უფლება აქვს, რომ გარდაქმნას მასალა ერთი ფორმატიდან მეორე ფორმატში, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს უნარშეზღუდული პირებისათვის.

2.6. კონსერვაციის, განათლებისა და კვლევის ხელშეწყობის მიზნით, ბიბლიოთეკებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება აქვთ გადაიღონ იმ ნამუშევრების ასლები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება საავტორო უფლებას, მაგრამ მოცემულ მომენტში არ წარმოადგენს კომერციული ექსპლუატაციის საგანს.

მიზანი 3: შემოქმედებითი მუშაობისა და ტექნოლოგიური პროგრესის მაღალი დონე, როგორც ინდივიდუალური კვლევისა და სწავლის შედეგი.

3.1. კანონი საავტორო უფლების შესახებ არ უნდა აფერხებდეს ტექნოლოგიის განვითარებას, თუ ამ ტექნოლოგიის გამოყენება არ იწვევს საავტორო უფლების არსებით დარღვევას.

3.2. ნებადართული უნდა იყოს ცალკეული ნამუშევრების ასლების გადაღება ინდივიდუალური მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური კვლევის და სწავლის მიზნით.

3.3. საავტორო უფლების დარღვევის გარეშე ნამუშევრის გამოყენების მიზნით დასაშვები უნდა იყოს ტექნოლოგიური დაცვის ზომების გადალახვა.

მიზანი 4: საავტორო უფლების ჰარმონიზაცია

4.1. ამ დოკუმენტში მოცემული მიზნები და პოლიტიკა არ უნდა იქნეს დარღვეული სხვა ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებით.

4.2. ამ დოკუმენტში მოცემული მიზნები და პოლიტიკა წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო პრინციპების მნიშვნელოვან განაცხადს და დაუშვებელია მათი შეცვლა კონტრაქტის საფუძველზე.

Library-Related Principles for the International Development Agenda of the World Intellectual Property Organization January 2005

Goal 1: A robust and growing public domain to provide new opportunities for creativity, research, and scholarship.

- 1.1. All works created by governmental authorities should be in the public domain.
- 1.2. Published works resulting from government-funded research should be publicly available at no charge within a reasonable time frame.
- 1.3. Facts and other public domain materials, and works lacking in creativity, should not be subject to copyright or copyright-like protections.
- 1.4. Consistent with the Berne Convention, the term of copyright should be the life of the author plus 50 years. The term of copyright should not be extended retroactively.

Goal 2: Effective library programs and services as a means of advancing knowledge.

- 2.1. A library may make copies of published and unpublished works in its collection for purposes of preservation or to migrate content to a new format.
- 2.2. A work that has been lawfully acquired by a library may be lent to others without further transaction fees to be paid by the library.
- 2.3. A work that has been lawfully acquired by a library or other educational institution may be made available over a network in support of classroom teaching or distance education in a manner that does not unreasonably prejudice the rights holder.
- 2.4. Subject to appropriate limitations, a library or educational institution may make copies of a work in support of classroom teaching.
- 2.5. A library may convert material from one format to another to make it accessible to persons with disabilities.
- 2.6. In support of preservation, education or research, libraries and educational institutions may make copies of works still in copyright but not currently the subject of commercial exploitation.

Goal 3: High levels of creativity and technological progress resulting from individual research and study.

3.1. Copyright laws should not inhibit the development of technology where the technology in question has substantial non-infringing uses.

3.2. Copying of individual items for or by individual users should be permitted for personal research and study.

3.3. It should be permissible to circumvent a technological protection measure for the purpose of making a non-infringing use of a work.

Goal 4: Harmonization of copyright.

4.1 The goals and policies set out in this document should not be over-ridden by other bi-lateral or multi-lateral agreements.

4.2 The goals and policies set out in this document are important statements of national and international principle and should not be varied by contract.